

გურჯაანში საარჩევნო ტემპერატურა დაბალია  
ნატალია ცისკარაშვილი  
გურჯაანი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ბაზირებულ საარჩევნო სუბიექტებს აქტიური საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაუწყიათ.

„არჩევნები, ალბათ, დაძაბული იქნება. ჩემი აზრით, ბრძოლა ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის გაიმართება. მაინტერესებს ყველა პარტიის საარჩევნო პროგრამა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღო, თუმცა, გადაწყვეტილების მისაღებად მეტი ინფორმაცია მჭირდება, ჯერ არც ერთი პარტიის პროგრამას არ ვიცნობ“, - აცხადებს გურჯაანელი ამომრჩეველი ცისკარაშვილი.

არჩევნებისთვის ბრძოლა რომ დაძაბული იქნება, არასამთავრობო ორგანიზაციებშიც ადასტურებენ. არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მითითებულია დარღვევის ფაქტები, რომლებიც ძირითადად „ქართული ოცნების“ აქტივისტებზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ეხება.

მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, „კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტ ზურაბ თერგიაშვილზე აპრილის დასაწყისში ზეწოლა განხორციელდა. იგი 7 წლის მანძილზე მუშაობდა სასწრაფო დახმარების სამსახურში მძღოლის პოზიციაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მის მიმართ მანამდე არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სახის დისციპლინური ან ადმინისტრაციული სასჯელი. 2012 წლის 13 მარტს იგი დაიბარეს კონტოლის პალატის წარმომადგენლებმა, თუმცა, თერგიაშვილი ახსნა-განმარტების მისაცემად არ გამოცხადდა. 2012 წლის 1 აპრილიდან თერგიაშვილს შრომითი კონტრაქტი აღარ გაუგრძელდა. სამსახურის მენეჯერი თანამშრომლის სამსახურიდან გაშვების მიზეზს ვერ ასახელებს. თავად თერგიაშვილი კი მიიჩნევს, რომ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს.

„სამართლიანი არჩევნები“ ასევე აკვირდებოდა პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო საჯარო შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო შეხვედრებში მონაწილეობას პოლიტიკური თანამდებობის პირებიც იღებდნენ, რომლებიც მოსახლეობას მმართველი პარტიის გეგმებსა და პროექტების თაობაზე ესაუბრებოდნენ. საარჩევნო გარემოს მიმართ პრეტენზიები მართლაც არსებობს, თუმცა, ამის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ გამარჯვებისა და ნდობის მოპოვებისთვის აუცილებელია მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრები, რომლის დროსაც, ერთი მხრივ, პარტიის მიზნებსა და ამოცანებს ამომრჩეველამდე მიიტანენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, ამომრჩეველის პრობლემებს მოისმენენ.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გურჯაანის ოფისის ხელმძღვანელი და ამავე დროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნინო მურაკაშვილი აცხადებს, რომ პარტიას ზუსტად აქვს გააზრებული საარჩევნო რეალობა, თანამიმდევრულად მოქმედებენ და უკვე აქტიურად მუშაობენ საარჩევნო მობილიზაციისათვის:

- „გვყავს ჩვენი ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე და ზონის კოორდინატორები. ყველას შესაბამისი დავალებები აქვს მიცემული, ისინი უკვე პარტიის ადგილობრივი სახეები არიან. ეს ადამიანები იყვნენ და არიან ჩართული ჩვენს აქტივობებში წინა წლებშიც და ახლაც. ისინი ხშირად ხვდებიან მოსახლეობას, სოფლებში დადიან, იგებენ, რა პრობლემები აქვს მოსახლეობას და ერთად ვზრუნავთ მათ მოგვარებაზე. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს უამრავი პრობლემა იყრის თავს. არის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წინაშე ვაყენებთ; აგრეთვე, რომლებსაც ხელისუფლების დახმარებით ვაგვარებთ. მოსახლეობას აქტიურად ვაცნობთ პარტიის ხედვასა და ამოცანებს. მინდა დავამატო, რომ ქრისტიან დემოკრატები არ ვართ საკრიტიკოდ მოსულები. როდესაც მოსახლეობასთან შეხვედრები დაგვიწყებ, იქ უამრავი პრობლემა დაგვხვდა. სწორედ,

ამ პრობლემების მოგვარება გვინდა. პარტიას აქვს სამი ძირითადი პრიორიტეტი: სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და ჯანდაცვა. სოფელს რაც აწუხებს, იმ პრობლემების მოგვარებაში ფული მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს.”

„ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის ხელმძღვანელ აკაკი ბეგაშვილის თქმით, კოალიციას წინასაარჩევნო შეხვედრები მოსახლეობასთან ჯერ არ დაუწვია, შესაბამისად, ამ ეტაპზე წინასაარჩევნო პროგრამა დასრულებული არ აქვს:

„ამ ეტაპზე ვხვდებით მხოლოდ ჩვენს აქტივისტებს სოფლებში, ასევე დაინტერესებული საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც ამ შეხვედრებზე მოდის. მოსახლეობა ხშირად აღნიშნავს, რომ აშინებენ, მოუხსნიან სოცდახმარებას, გაათავისუფლებენ სამსახურიდან შვილს, ქმარს და ასე შემდეგ. ადგილობრივი რწმუნებულებიც ამას გვეუბნებიან. მჯერა, რადგან მეც არაერთხელ მიმითითეს, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებ.“

მისივე თქმით, კოალიცია ეროვნულ პროგრამას თვის ბოლოს წარუდგენს ხალხს და გააცნობს როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკური განვითარების გეგმებს. ბეგაშვილმა პროგრამის ზოგიერთი ნაწილი „კახეთის ხმას“ გააცნო:

„საქართველო ისტორიულად აგრარული ქვეყანაა და, აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მიუღებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკაში განვითარების მთავარი წვლილი ტურიზმს შეჰქონდეს. ტურიზმი იქნება ერთ-ერთი სფერო, მაგრამ არა წამყვანი. კოალიცია უპირატესობას სოფლის მეურნეობას ანიჭებს, ასევე მეცნიერების, განათლების, მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარებას. სოფლის მეურნეობისთვის გამოიყოფა უპროცენტო ან დაბალპროცენტო კრედიტები, რათა გლენმა შესძლოს თავისი საქმის კეთება და სოფელი აღორძინდეს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოყვანილი პროდუქციის გასაღების ბაზარს, ყველანაირად შევუწყობთ ხელს მის რეალიზებაში, რათა გლენმა სარფიანად გაყიდოს თავისი მოყვანილი პროდუქტი, ასევე, პროგრამის მიხედვით, გათვლილია, თუ რა სახის ტექნიკით უნდა იყოს მომარაგებული ესა თუ ის სოფელი, რომ სოფლების ტექნიკური უზრუნველყოფა დასრულდეს. დღემდე 536 ტრაქტორი აქვს ბიძინა ივანიშვილს შეძენილი, რომელიც მიშას ხელით დარიგდა.“

14 მაისს გურჯაანში პარტია „თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ოფისი კახა კუკავამ გახსნა. რაიონულ ორგანიზაციას გიორგი ქოროლიძე ხელმძღვანელობს. კუკავამ სოფლის მეურნეობა პარტიის პრიორიტეტად გამოაცხადა. პარტიის ლიდერის განცხადებით, წელს ყურძნის ჩასაბარებელი ფასი 2 ლარამდე უნდა გაიზარდოს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამ საკითხის გადასაწყვეტად პარტია რუსეთის ბაზრის იმედადაა:

„გურჯაანელებს ნატოში შესვლა არ უშეველით. სოფელი გადარჩება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტებს რუსეთის ბაზარზე გავიტანთ. შარშან 45 თეთრს ვერ გადააჭარბა ყურძნის ფასმა და ასეც იქნება, ვიდრე რუსეთის ბაზარი არ გაიხსნება. თუ ხელისუფლება ძალიან არ შეგვიშლის ხელს და წლებადედი რთველის დაწყებამდე განახლდება ექსპორტი რუსეთის ბაზარზე, მინიმუმ 2-2,20 ლარამდე გაიზრდება ყურძნის ჩასაბარებელი ფასი,“ - განაცხადა პარტიის მხარდამჭერებთან შეხვედრისას კახა კუკავამ.

რაც შეეხება ახალ მემარჯვენეებს, გურჯაანში პარტია არსებობს, თუმცა, ამ ეტაპზე, აქტივობებს არ ახორციელებენ. როგორც პარტიის რეგიონული კოორდინატორი გივი იმერლიძე თქვა, „კახეთის ხმასთან“ საუბარში აცხადებს, პარტიას მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრები ჯერ არ დაუწვია:

„მართალია, წინასაარჩევნო შეხვედრები არ დაგვიწვია, მაგრამ მოსახლეობას მუდმივ რეჟიმში ვხვდებით და ვეცნობით მათ პრობლემებს.“

ნაციონალური მოძრაობის გურჯაანის ოფისში აცხადებენ, რომ ყოველი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანია იწყება წინა არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან, შესაბამისად, პარტია მზადაა, ხალხის წინაშე აღებული ვალდებულებები მოაგვაროს. პარტიის თავმჯდომარე ზაქარია იაგანაშვილი სამოქმედო გეგმას განმარტავს:

„პარტიის პროგრამა და სამოქმედო გეგმა კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის: ეს არის ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება,

პირველ ყოვლისა, ეკონომიკის გაძლიერების უზრუნველყოფით. სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა სხვადასხვა სფეროს რეფორმირება: განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, პოლიციისა და იუსტიციის მიმართულებით, რამაც კონკრეტული ნაყოფი უკვე გამოიღო.

აღსანიშნავია სადაზღვევო სისტემის სიახლეები. სექტემბრიდან ყველა პენსიონერი, 5-წლამდე ბავშვები და სტუდენტები იქნებიან დაზღვეულნი, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ, ფაქტობრივად, ყოველი მეორე მოქალაქე დავაზღვიოთ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული გადამზადების ახალი სისტემის შემოღება, რაშიც სახელმწიფომ მილიონები ჩაღო და, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდა თუ უფროსი თაობის ადამიანებს, გაიარონ გადამზადება და დასაქმდნენ. ვინაიდან მოსახლეობა თვალნათლივ ხედავს, რომ ხელისუფლებამ ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი პრობლემა გადაჭრა, კვლავ აქტიურად აყენებს ქალაქის, სოფლისა თუ უბნის წინაშე მდგარ საკითხებს, შესაბამისად, ჩვენი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად მეტი ვიზრუნოთ ხალხის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაზე. მინდა აღვნიშნო, რომ ადრეც და უკანასკნელ პერიოდშიც, არ დარჩენილა გურჯაანის მუნიციპალიტეტის არც ერთი სოფელი, სადაც პირადად არ გავცნობოდით მოსახლეობის პრობლემებს, შესაბამისად, ჩვენთვის ნათელია პრობლემის არსი და სწორად ვხედავთ მოგვარების გზებს. ამდენად, ხალხმა იცის, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა, გადავჭრათ მათთვის მტკივნეული საკითხები და შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებთ მათი პრობლემების მოსაგვარებლად. პარტიისა და ხელისუფლების მთავარი ამოცანაა ქვეყნის გაძლიერება ყველა მიმართულებით და, რასაკვირველია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სოფლის მეურნეობის განვითარებაც. ბოლო წლებია, უამრავი ინიციატივა დაიგეგმა და განხორციელდა ამ მიმართულებით. რთველის სუბსიდირება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების ცენტრების გახსნა ამ მიმართულების ერთი ეტაპია, სულ მოკლე ხანში გაიხსნება სოფლის მეურნეობის ექსტენციის ცენტრი ჩალაუბანში (სულ 12 ასეთი ცენტრი იხსნება მთელ საქართველოში). გაკეთდება ყველაფერი, რაც ფერმერებსა და გლეხებს დახმარებას გაუწევს, რათა წელგამართული იყვნენ”.

ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ხასიათის საჯარო შეხვედრების მიმდინარეობას აკვირდებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში. სამართლიანი არჩევნების ანგარიშში აღნიშნულია, რომ -„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კახეთის რეგიონში აპრილ - მაისში 31 საჯარო შეხვედრა გამართა, „ქართულმა ოცნებამ“ - 22, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ ამ დრომდე კახეთში მოსახლეობასთან შეხვედრები არ გაუმართავს“.

საზოგადოებას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო გარემო უნდა იყოს მშვიდი და სანდო. პარტიები მოქალაქეთა ინტერესებს უნდა ითვალისწინებდნენ და თავიანთ პროგრამებში ასახავდნენ. 18 წლის თამარ დვალი წელს პირველად აძღვეს ხმას. ამბობს, რომ ის ენდობა 2012 წლის არჩევნებს და აქტიური ამომრჩეველი იქნება:

-„მე მივდივარ არჩევნებზე, მაგრამ ჩემი მეგობრები - არა, მათ არ სურთ ხმის მიცემა. მე კი პირიქით, მაინტერესებს ხმის მიცემის პროცესი და ასევე ზოგადი სიტუაცია. თუ ამომრჩეველები არ გავაქტიურდით, არაფერი გამოვა და, შესაძლოა, შედეგით კმაყოფილი არ დავრჩეთ, ამიტომ ყველა უნდა წავიდეს არჩევნებზე და საკუთარი არჩევანი გამოხატოს“.

*სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.*